საქართველოს შეიარაღებული ძალების
გენერალური შტაბის უფროსის
ბრძანება

ქ. თბილისი

MOD 3 18 00000109

07/02/2018

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, გენერალური შტაბის უფროსის პირველ მოადგილესა და მოადგილეს შორის უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №298 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის დებულების'' მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. განაწილდეს უფლებამოსილებანი საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, გენერალური შტაბის უფროსის პირველ მოადგილესა და მოადგილეს შორის, შემდეგი სახით:

ა) საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი **გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია** საერთო კოორდინაციას უწევს გენერალური შტაბის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას და მის უშუალო დაქვემდებარებაშია:
ა.ა) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
ა.ბ) სამხედრო დაზვერვის დეპარტამენტი;
ა.გ) სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობა;
ა.დ) სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობა;
ა.ე) სპეციალური ოპერაციების ძალები;
ა.ვ) საბრძოლო მზადყოფნის მონიტორინგის სამმართველო.

ბ) გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე **პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა**, ზედამხედველობს და მის დაქვემდებარებაშია:
ბ.ა) წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა;
ბ.ბ) ,,საქართველოს მზადყოფნის პროგრამა - წრთვნა'' (GRP-T);
ბ.გ) საერთაშორისო წვრთნები;
ბ.დ) საერთაშორისო მისიები;
ბ.ე) ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (SNGP);
ბ.ვ) ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა.

გ) გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე **ბრიგადის გენერალი ზაზა ჩხაიძე**, ზედამხედველობს და მის დაქვემდებარებაშია:
გ.ა) J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტი;
გ.ბ) J-2 დაზვევრვის დეპარტამენტი;
გ.გ) J-3 ოპერატიული დაგეგმვის დეპარტამენტი;

გ.დ)J-4 ლოგისტიკის დაგეგმვის დეპარტამენტი;
გ.ე) J-5 სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტი;
გ.ვ) J-6 კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების დეპარტამენტი;
გ.ზ) J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი;
გ.თ) სამედიცინო დეპარტამენტი;
გ.ი) შეიარაღების კონტროლისა და ვერიფიკაციის სამმართველო;
გ.კ) კავშირგაბმულობის ცენტრი.

დ) გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე **ბრიგადის გენერალი შალვა ჯაბახიძე**, ზედამხედველობს და მის დაქვემდებარებაშია:
დ.ა) ეროვნული გვარდია;
დ.ბ) სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი;
დ.გ) ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა;
დ.დ) ს.ს.ი.პ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
დ.ე) ს.ს.ი.პ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია;
დ.ვ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან კორდინაცია.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსს, გენერალური შტაბის უფროსის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს შორის უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ'' საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 2017 წლის 29 აგვისტოს N590 ბრძანება.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი
გენერალ-მაიორი **ვლადიმერ ჩაჩიბაია**